სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

17 ოქტომბერი, 2023 წ

ბრძანება № 01-02/192

პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის N01-02/45 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულების **ავტორიზაციის დებულებისა** და საფასურის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანების, „ბსუ-ს პროფესიული განათლების მიმართულებით სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 5 თებერვლის N06-01/06 დადგენილებისა** და პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის მადონა მიქელაძის 2023 წლის 16 ოქტომბრის N1367639 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 11 მაისის N01-02/45 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ,** პირველ პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროფესიული განათლების მიმართულებით ბსუ-ს განვითარების გრძელვადიანი (შვიდწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმებით განსაზღვრული აქტივობების შესრულების მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით შეიქმნას მონიტორინგის ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) **თამარ სირაძე** - ბსუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი, მონიტორინგის ჯგუფის თავმჯდომარე;

ბ) **ჯილდა აბაშიძე** - ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ხარისხის მართვის მენეჯერი.

გ) **ირაკლი გორგილაძე** - ბსუ-ს იურიდიული და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

დ) **გოჩა ჩავლეშვილი** - ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

ე) **ასიე ცინცაძე** - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი."

2. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს და მონიტორინგის ჯგუფის წევრებს.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოცემისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. N30).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**